737. ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი).
ცხინვალის რაიონი.
738. ჯავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჯავა).
ჯავის რაიონი.
739. ზნაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ზნაური).
ზნაურის რაიონი.
740. ლენინგორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ლენინგორი).
ლენინგორის რაიონი.

ᲙᲘᲠᲘᲐᲙ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲖᲐᲕᲠᲘᲔᲕᲘ



საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კირილე სამსონის ძე ზავრიევი.

წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, სამშენებლო მექანიკისა და ხეირსმომედგომობის საქართველოს მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსი, ბევრი დარგის, კერძოდ სამშენებლო მექანიკის, საგებობათა, სამშენებლო მასალათა და კონსტრუქციათა ხეირსმომედგომობის განვითარებაში. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. კ. ს. ზავრიევის ბევრ მეცნიერულ ნაშრომს ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ 1913 წელს, სტუდენტობის წლებში, მან წამოაყენა კონსტრუქციებს მზიდუნარიანობის შეფასებისადმი სრულიად ახალი მიდგომა და ათეული წლებით ადრე წინასწარ განვრიტა ზღვრული მდგომარეობის კონსტრუქციათა გაანგარიშების თანამედროვე მეთოდის ძირითადი დებულებანი. ოციანი წლების დამლევს კ. ს. ზავრიევმა შეიმუშავა ხეირსმომედგომობის დინამიკური თეორია, რომელიც ამჟამად აღიარებულია მსოფლიოში. იგი იყო მზიდ კონსტრუქციებში ბუნებრივი ფოროვანი შემვსებებიანი მსუბუქი რკინა-ბეტონის გამოყენების ინიციატორი და ერთ-ერთი წამომწყები. იგი ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში პირველი წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების მეცნიერულ კვლევასა და შემუშავებას.

თავისი 60 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე კ. ს. ზავრიევმა მშენებელ ინჟინერთა არაერთი თაობა მოამზადა. მის მოწაფეებს შორის არიან რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის 2 აკადემიკოსი და 3 წევრ-კორესპონდენტი, 25 დოქტორი, 100-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და ათეათასობით სპეციალისტი, რომლებიც დაეუფლნენ მისი მრავალრიცხოვანი სახელმძღვანელოების მიხედვით სამშენებლო ხაქმის ფაქიზ ხელოვნებას. ეს სახელმძღვანელოები გამოირჩეოდა ნათელი, ღრმა და მკაფიო შინაარსით.

დიდ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას კ. ს. ზავრიევი ყოველდღიურად უხამებდა საინჟინრო, საქმიანობას. არც ერთი დიდი მშენებლობა ამიერკავკასიაში, ქვეყნის ბევრ რესპუბლიკასა და რეგიონში არ ხორციელდებოდა მისი მონაწილეობისა და კონსულტაციის გარეშე, როცა რთული ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა იყო საჭირო.

მეცნიერულმა ნაშრომებმა კ. ს. ზავრიევს სახელი მოუხვეჭა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი იყო ხეირსმომედგომი მშენებლობის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორი, ამერიკის წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის ინსტიტუტის ნამდვილი წევრი.

სკკპ წევრი 1940 წლიდან კ. ს. ზავრიევი მთელ თავის მეცნიერულ-პედაგოგიურ და საინჟინრო საქმიანობას უხამებდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. 40 წლზე მეტ ხანს იგი იყო სსრ კავშირის სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობის უცვლელი თავმჯდომარე. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

კ. ს. ზავრიევის დამსახურებას მაღალი შეფასება მისცეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ. იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, I ხარისხის სამამულო ომის ორდენით, ორი შრომის წოელი დროშის ორდენით, სამამული ნიშნის ორდენითა და მედლებით.

შესანიშნავი მეცნიერისა და ადამიანის, კოშენბისის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, პედაგოგისა და დაჩრდილის კირილე სამსონის ძე ზავრიევის ხსოვნა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა სოციალისტური სამშობლოს სამსახურს, მარად დარჩება ჩვენი ხალხის გულში.

ე. ა. შეშარდნაძე, ჰ. ბ. ბილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ბ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ძ. პ. შარტავა, ო. ე. ჩერაქეზია, ნ. ა. ბითანაია, ხ. ე. ხაბეიშვილი, ე. ა. ხარაძე, ბ. ა. ანდრონიკაშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, ი. ბ. ბეჟრდოვითელი, ზ. ბ. ახვლედიანი, ბ. ნ. ჯიბლაძე, ბ. თ. ლობჟანიძე, ო. ი. ლოლაშვილი, ნ. ა. მეძავარიაშვილი, ბ. ზ. მირიანაშვილი, ი. ა. ხარატიშვილი, ხ. ვ. დურმიშიძე, ა. ხ. ფრანგიშვილი, ნ. ა. ლანდია, რ. რ. დვალი, ა. ა. ძიძიშური, ნ. ნ. კეცხოველი, ვ. დ. კუპრაძე, ვ. ვ. მაჩალდიანი, ი. ბ. ჩხეინკელი, ა. ხ. ბირიხელიძე, შ. ა. ჯაბუა.

კ. ს. ზავრიევის დაკრძალვის მომზადების კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1978 წლის 17 და 18 დეკემბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაში (პეკინის ქ. № 2), 19 დეკემბერს 13 საათზე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციულ კორპუსში. გამოსვენება 19 დეკემბერს 15 საათზე.

დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 87 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი სამეცნიერო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და მისი პირველი შემადგენლობის წევრი

კირიაკ სამსონის ძე ზავრიევი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უზრუნველყოთ სახელმწიფო ნესრიგი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაში

(დასასრული)

მაგალითად, თუმცა „საქმთავარენერგოს“ სისტემაში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა საერთოდ გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ არ არის შესრულებული ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა, ჩამორჩენაა ქსელების მშენებლობისა და სოფლის ელექტროფიკაციის საქმეში; „საქმთავარენავთობმომარაგებგაბაღების“ სისტემაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის ფაქტიური შესრულება შეადგენს 61,1 პროცენტს, გაუმართლებლად გაქიაურდა ბათუმის ცენტრალური სატანაზარო ნავთობბაზის, ხაშურ-ბათუმის პროდუქტსადენის, ხობისა და მეტეხის ნავთობბაზების მშენებლობა. ანალოგიური ნაკლოვანებებია აგრეთვე საქართველოს სსრ გზაფიფაკიის მთავარი სამმართველოს სისტემაში, რაც აიხსნება სამშენებლო ორგანიზაციების, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემის უაღრესად ცუდი მუშაობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ მეურნეობათა ყველა ხელმძღვანელი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სათბობის ყაირათიანად ხარჯვას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას. დამპკმაყოფილებლად არ არის დაყენებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის აღრიცხვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სისტემებში.

რესპუბლიკის სათბობის საერთო ბალანსში ჯერ კიდევ დაბალია მიწისქვეშა თერმული წყლების ხვედრითი წონა, არ არის გამოძებნილი თბომომარაგებაში ელექტროენერგიის გამოყენების შესაძლებლობანი.

სათბობის (ქვანახშირი, ნავთი, ღუმელის საწვავი შუა) ფონდების არასაკმარისი მიწოდების გამო დიდ სიძნელეებს განიცდიან მაღალი მთის რაიონები, მაშინ, როდესაც საერთოდ რესპუბლიკაში რესურსებს მთლიანად ვერ ითვისებენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც აღნიშნა 1977 წლის იანვარში შექმნილი სათბობით, ელექტრო და თბოენერგიით სახალხო მეურნეობის მომარაგების მოწესრიგების საკითხთა საგანგებო კომისიის ნაყოფიერი მუშაობა, ამასთან მისი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს იმ საფირეტიერო გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი, რომლებიც დაკავშირებულია თბოენერგორესურსებით მომარაგებასთან. მნიშვნელოვან აქტივიზაციას მოითხოვს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებისა და პარტიული კომისიის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განყოფილებების, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ პროკურატურის საქმიანობა თბოენერგეტიკული რესურსების გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელებაში.

თბოენერგეტიკული რესურსებით რესპუბლიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმის შედეგად მიიჩნია, რომ საკმარისად არ არის ორგანიზებული მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესასრულებლად სარეზერვო ტევადობათა მშენებლობისა და მათი ექსპლოატაციის, სათბობის სარეზერვო ფონდის შექმნის, სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და მოსახლეობის თბომომარაგების სამსახურების თხევად სათბობზე უსწრაფესი გადაყვანის უზრუნველყოფის საქმეში, იმის შედეგად, რომ მეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებმაც დაარღვიეს საშემსრულებლო დისციპლინა, უპირატესად, უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ საქმეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ოპერატიული ღონისძიებანი განახორციელონ არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, განიხილონ იმ პირთა პარტიული და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ვერ შეასრულეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სარეზერვო სათბობის ტევადობათა შექმნის საქმეში.

აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ დამპყაოფილებელი არ არის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, „საქმთავარენერგოსა“ და „საქმთავარნავთობმომარაგებაგაბაღების“ სამმართველოების მუშაობა მოსახლეობის თბომომარაგებისა და სახალხო შეურნეობის სათბობით უზრუნველყოფის დარგში. მკაცრი გაფრთხილება მიეცათ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა, „საქმთავარნავთობმომარაგებაგაბაღების“ სამმართველოს ხელმძღვანელებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავიანთ საქვეშეყოფო ორგანიზაციებსა და სამსახურებში საქმის მდგომარეობისათვის.

საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მშენებლობის სამინისტროების, სახმშენის, მთავარმომარაგების, სოფლის მეურნეობის საწარმოოტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის, „ყაზარის“ გამგეობის ხელმძღვანელობა ყურადღება მიაპყოს იმას, რომ გაძლიერონ კონტროლი თავიანთი საქვეშეყოფო ორგანიზაციების საქმიანობისადმი და ამაღლონ ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დავალებათა ზუსტი შესრულებისადმი, რომლებიც ეხება თბოენერგეტიკული რესურსებით რესპუბლიკის უზრუნველყოფას.

მომთხოვნელობის შესუსტებისათვის და იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყვნეს ჯეროვანი კონტროლი გათბობის სეზონის მომზადებისადმი და თბომომარაგების ობიექტების მშენებლობისადმი, საკმაო წვრილს ამბ. ბ. თ. ლობჟანიძეს — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს და ამბ. ა. ე. უბერიას — რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გამოეცხადათ საყვედური იმისათვის, რომ საქალაქო სათბობმეურნეობაში ვერ დაამყარეს წესრიგი და ვერ უზრუნველყვეს გათბობის სეზონისათვის მისი მომზადება, საკმაო წვერი ამბ. რ. ბ. მუსერიძე — ქალაქ თბილისის სათბობი მეურნეობის სამმართველოს უფროსი მოიხსნა თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი სხვა ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით რესპუბლიკის უზრუნველყოფაში სანიმუშო სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის, ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲘᲠᲐᲜᲘ: ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲦᲕᲐᲡᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი. (საკუთარი). ისპანეთში, სიდიდით ირანის მეორე ქალაქში, გრძელდება რეპრესიები მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მონაწილეთა წინააღმდეგ. „იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში ქალაქში დაჭრილია სულ ცოტა 50 და დაჭრილია 1200 კაცი. ისპანეთის საავადმყოფოების პალატები და სამაბარიკეოები სავსეა, პიველი დახმარების პუნქტებად გადაკეთებულია ასეთი მიზნებისათვის მოუხერხებელი შენობებიც, იგრძნობა დონორთა სისლის მწვავე ნაკლებობა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, რომელიც ეყრდნობა ისპანელი ექიმებისაგან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ ჯარისკაცებს სიჩქაროდ მიაქვთ საავადმყოფოებიდან ჭრილობებისაგან გარდაცვლილთა გვამები, „აშკარად ცდილობენ დაფარონ დახოცილთა ნამდვილი რიცხვი“.



სამხედრო პირები აჩერებენ ავტომანქანებს და მოითხოვენ, რათა მათმა მფლობელებმა და მგზავრებმა დაადასტურონ თავიანთი ლოიალობა რეჟიმისადმი. თუ ამაზე უარს ამბობენ, მათ ძალით ერეკებიან მანქანებიდან და ხელკეტებით სცემენ, ხოლო ავტომანქანების ფანჯრებს შაშხანების კონდახებით ამსხვრევენ.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს უჩვენეს ავტომატით დაცხრილული 17 წლის ბიბუკის გვამი, რომელიც მხოლოდ იმისათვის მოკლეს, რომ არ მოისტრეა მთავრობის სასარგებლო ლოზუნგების წამოძახება.

„იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლი“ უკანასკნელი დღეების ისპანს უწოდებს „ტერორის სამეფოს“. საგენტო აღნიშნავს, რომ მსხობრივი რეპრესიები ქალაქში“, როგორც ჩანს, ორგანიზებულია“. მასში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სამხედროები, არამედ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირებიც. ბევრი მათგანი, ნათქვამია ცნობაში, საღდუმლო პოლიტიკური პოლიციის სავაკის თანამშრომლები

საბჭოთა აფხაზეთში

„კომუნისტის“ კორესპონდენტები გვატყობინებენ

მოწინავეთა ბრიგადა

სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში მეთამბაქოეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ამ საქმეში მოწინავის სახელი დაიმკიდრა იმ ბრიგადამ, რომელსაც სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი შოთა ჯეჯელავა.

ბრიგადას გადაწყვეტილი აქვს, მიმდინარე წელს საშობლოს 30 ტონის ნაცვლად 42 ტონა თამბაქო მისცეს.

ხუთწლედი — ოთხ წელიწადში

ტყვარჩელის ლაკობას სახელობის შახტასამმართველოში კარგად იცნობენ № 2 შახტის მეხუთე უბნის გვირაბგამყვანთა ბრიგადას, რომელსაც ვარლამ ხინტუბა ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ ჩქაროსნულ გვირაბგამყვანთა ბრიგადაში ერომანენთის მხარდამხარ მეგობრულად შრომობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: ვ. ჯოპუა და ს. აკბა, კ. ბელქანია და ი. ჯიბლაძე, ი. ნიბოტინი, ვ. უსანოვი, ვ. გრიგორიანი და სხვები.

ვარლამ ხინტუბას ბრიგადას ახლა 1.800 გრძივ მეტრამდე გვირაბი აქვს გაყვანილი და იგი 1979 წლის თებერვალ-მარტის ანგარიშში შრომობს. ბრიგადის წევრები პირობას დებენ, რომ ხუთწლიან გეგმას ოთხ წელიწადში შეასრულებენ.

ხალხური შემოქმედების დათვალიერება

ამას წინათ აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში გაიმართა აფხაზეთის ხალხური შემოქმედების ძალების საოლქო დათვალიერება-კონცერტი. დათვალიერებაზე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ოქამჩირის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის უხუცესთა ანსამბლმა „აბეთამ“ (მხატვრული ხელმძღვანელი — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. ჩანგელია). მაყურებელმა გულთბილად მიიღო აგრეთვე გუდაუთის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის სასოფლო კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის, სოხუმის რაიონის კულტურის სახლის ვოკალური ანსამბლის „კუჭხი ბედნიერის“ და სხვა თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლა.

ბიბლიოთეკა — მოსწავლეებს

დაბა გულრიფშის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა ერთ-ერთი დიდი სკოლაა ახლომახლო რაიონებში. აქ 1200-მდე მოსწავლე ეუფლება ცოდნას. პედაგოგებთან ერთად ბავშვთა აღზრდის საქმეს ღირსეულად ემსახურება სკოლის ბიბლიოთეკა, რომლის განკარგულებაშია 10.000-ზე მეტი წიგნი და სხვადასხვა დასახელების 30-ზე მეტი ჟურნალ-გაზეთი. ბიბლიოთეკის გამგე ჯულიეტა რეხვიაშვილი მოსწავლეებს მხატვრული ლიტერატურის სიყვარულს უღვივებს.

ახალი მუსიკალური სკოლა

ლიხნი ერთ-ერთი ლამაზი, კეთილმოწყობილი სოფელია აფხაზეთში. დღითიდღე მაღლდება აქაური მეხოვრეებლების მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე. სოფელში არის საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლები.

და აი, ამასწინათ სოფელში გაიხსნა ახალი მუსიკალური სკოლა, რომლის ფორტეპიანოს და აკორდეონის ჯგუფში ბავშვთა აღმზრდელებად გამოცდილი პედაგოგები მიიწვიეს. სკოლა უზრუნველყოფილია საჭირო მუსიკალური ინვენტარით.

□

სურათზე: სოხუმის ერთ-ერთი კუთხე.

ᲘᲡᲔᲕ ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ

დანაშაული სახელმწიფო მანქანით

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ტერიტორიაზე, ოქ, სადაც სოფელ ფარცხანაყანევს გაცდები და ქუთაისის შესასვლელიც მალე დაიწყება, ავტომანქანა „კრზ“ 255, რომლის სახელმწიფო ნომერია გაე 93-21, ხოლო მისაბმელისა — გრ 23-20, ნიჭარის ერობისაშად უმატა.

— თუ ამ დაწყვეტილ მონაკვეთს გავცდით, მერე არა გვიშავს, — ახალგაზრდა მძღოლს გვერდით მოკალთებულმა პიროვნებამ, კაბინის ღია ფანჯარაში თავი გადაყო და ერთხელ კიდევ უკან მოიხედა.

— გავცდებით, ნუ შიშობ, დალუქული მანქანის გაღების უფლება არავის აქვს.

ის-ის იყო ქუთაისის შესასვლელს მიატანეს, წინ სახელმწიფო ავტოინსპექციის ნიშნიანი მსუბუქი ავტომანქანა გადაუდგა და შეჩერება ანიშნათ.

ორთავე შეკრთნენ.

—შენ ხმა, კრინტი... — ახლა მძღოლი დაიმედა მის გვერდში მჯდომმა, — ყველაფერზე პასუხს მე გაგებ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის მოტომექანიზებული ოცეულის უფროსმა რ. მანჯავიძემ, ამავე ოცეულის მუშაკმა ვ. გაბიძაშვილმა და ყველტუბოს შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის უფროსმა ინსპექტორმა ე. კიკნაძემ საბუთები მოითხოვეს.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲠᲐᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ

□

— ახლავე, გენაცვალე, ახლავე, ამოდენა გზაზე სახელმწიფო მანქანით უსაბუთოდ როგორ გავბედავდით, ინებეთ მძღოლს ძოწმობა, საგზურიც... აენაწყლიანდა მძღოლს გვერდში მჯდომი პიროვნება.

თითქოსდა მართლაც საეჭვო არაფერი იყო. „საქმონტაჟსპეცმშენის“ ავტოსატრანსპორტო სამმართველოს მძღოლი ილია ნოეს ძე ჯიქია მიეღინებულია ზესტაფონსა და ზუგდიდში. დანიშნულების პუნქტების წარმომადგენლები საგზურზე ხელს აწერენ, მისაბმელი დალუქულია.

— რა გადაგაქვთ რუსთაველში?

— ეიცი და არ გეუბნები? ათასი ბარგი-ბარხანა და დარდუბალა, — კვლავ საეჭვოდ გაიკრიჭა პიროვნება და მერე დუმდა, — ეს მეორეც ჩემი ამხანაგი მძღოლია გიორგი ნოზაძე, ამხელა გზაზე მარტო ვერ წამოვიდოდი.

შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკების მახვილ თვალს არ გამოეპარათ ის ფაქტი, რომ მისაბმელი საიმეოდოდ არ იყო დალუქული და მისი გახსნა მოითხოვეს.

— რათ გინდათ, ძველი დაქანგული რკინების ნაცვლად რა უნდა ნახოთ იქ, თქვენი წილი აიღეთ და ნუღარ დაგვაგვიანებთ.

— რაო, წელიო?! —ამჯერად მოთხოვნა უფრო მკაცრი გამოდგა, მისაბმელი გახსნეს და „ძველი დაჟანგული რკინების“ ნაცვლად საგულდაგულოდ ყუთებში შეფუთულმა ოქროს ნაყოფმა გამოაჩინა.

მძღოლებმა ერთხელ კიდევ სცადეს მოლაპარაკება, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, მიაბიტად თქვეს: ცარიელი მოვდიოდით, ზუგდიდში ვიღაც ორმა უცნობმა გორამდე გვთხოვა ამ ტვირთის გადატანა, ოთხი ყუთი მანდარინიც გვაჩუქეს, ჩვენც გავრისკეთ და აი, ახლა თქვენს ხელში ვართო.

თქვენ როგორ ფიქრობთ, მკითხველო, ასე ანდობდნენ „უცნობი პირები“ უცნობებს 13-14 ტონა მანდარინს?

რასაკვირველია, ამას არ დაიჯერებთ, არც ორგანოს მუშაკებმა დაიჯერეს და გამოძიებაც დაიწყო. ალბათ, მალე ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ერთი მაინც საკითხავია, — ნუთუ ადარ უნდა მოვიოქოს ბოლო სახელმწიფო ავტომანქანებით ასეთ გასეირნებებს? საც არიან ამ დროს ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები?

დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

„ᲯᲐᲚᲐᲯ-ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ“ სოჭი მიესალმება არამწეველებს!“ — უზარმაზარი ტრანსპარანტი, რომელზეც წარწერილია ეს სიტყვები, დადგმულია იმ ადგილს, სადაც იწყება აეროპორტიდან შავი ზღვის სანაპიროს მშვენიერი ჯანმრთელობის კერასაკენ მიმავალი გზატაეცილი.

როცა ამ წარწერას შეეხედე გზად მიმავალმა პასსიონატში, სადაც ახლახან გავატარე შვებულება, უნებურად თავისებურ „პერსონა ნონ გრატად“ ვიგრძენი თავი: სამწუხაროდ, ჯერჯერობით თავი ვერ დამინებებია თამბაქოს წევისათვის და დღეში ერთი კოლოფი სიგარეტი მაინც მჭირდება... დავსძენ, რომ პასსიონატის ტერიტორიაზე შესასვლელთან მე „მომესალმა“ კიდევ ერთი ტრანსპარანტი: „ნუ იღუპავთ თავს — მიატოვეთ თამბაქოს წევა!“

ეს მხოლოდ ორი მაგალითია თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის მასობრივი კამპანიისა, რომელიც ამ ბოლო ხანს კიდევ უფრო გააქტიურდა ჩვენს ქვეყანაში.

ეტყობა, პრესაში დამლუპველი ჩვენის ზიანის შესახებ უამბავი პუბლიკაციიდან ჩვენ თანდათანობით საქმეზე გადავდივართ.

ექიმებისა და სხვა კომპეტენტური სპეციალისტების აზრით, ამ რთული პრობლემების გადაჭრა შეუძლია მხოლოდ მიზანდასახულ კამპანიას სახელმწიფო მასშტაბით, საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით და ფართო „ანტინიკოტინური პროპაგანდის“ საშუალებით, რომელიც უწინარეს ყოვლისა მიმართულია მოზარდი თაობისადმი.

არსებითად, ამას გულისხმობს იმათი მრავალი გამოთქვამი და რეკომენდაცია, ვინც, ჩვენი აზრით, სამართლიანად ფიქრობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებებთ პრობლემა ვერ გადაიჭრება, თუმცა ასეთ ღონისძიებებს სულ უფრო ხშირად მიმართავენ. „უხსოვარი დროიდან“ იყო აკრძალული თამბაქოს წევა მაღაზიებში, კინოთეატრებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში... ახლა ამას დაემატა შესაბამისი „ტაბუ“ ყველა საშედეგინო და სასწავლო დაწესებულებაში, ბევრ რესტორანში და, ასე განსაკუთ (თუმცა არცთუ ისე კატეგორიული ფორმით), მთელი საკურორტო ქალაქების ქუჩებში, მაგალითად, სოჭში, იალტაში.

თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალების კოორდინაციისათვის შექმნილია სპეციალური საუწყებათშორისო კომისია, რომელშიც შევიდნენ 12 სამინისტროს და უწყების (მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების, ვაჭრობის) წარმომადგენლები.

პრობლემის სერიოზულობა აღვილი გასაგებია. და არა მარტო ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხის გამო, ჯერჯერობით თავი ვერ დამინებებია თამბაქოს წევისათვის და დღეში ერთი კოლოფი სიგარეტი მაინც მჭირდება... დავსძენ, რომ პასსიონატის ტერიტორიაზე შესასვლელთან მე „მომესალმა“ კიდევ ერთი ტრანსპარანტი: „ნუ იღუპავთ თავს — მიატოვეთ თამბაქოს წევა!“

ეს მხოლოდ ორი მაგალითია თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის მასობრივი კამპანიისა, რომელიც ამ ბოლო ხანს კიდევ უფრო გააქტიურდა ჩვენს ქვეყანაში.

ეტყობა, პრესაში დამლუპველი ჩვენის ზიანის შესახებ უამბავი პუბლიკაციიდან ჩვენ თანდათანობით საქმეზე გადავდივართ.

ექიმებისა და სხვა კომპეტენტური სპეციალისტების აზრით, ამ რთული პრობლემების გადაჭრა შეუძლია მხოლოდ მიზანდასახულ კამპანიას სახელმწიფო მასშტაბით, საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით და ფართო „ანტინიკოტინური პროპაგანდის“ საშუალებით, რომელიც უწინარეს ყოვლისა მიმართულია მოზარდი თაობისადმი.

არსებითად, ამას გულისხმობს იმათი მრავალი გამოთქვამი და რეკომენდაცია, ვინც, ჩვენი აზრით, სამართლიანად ფიქრობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებებთ პრობლემა ვერ გადაიჭრება, თუმცა ასეთ ღონისძიებებს სულ უფრო ხშირად მიმართავენ. „უხსოვარი დროიდან“ იყო აკრძალული თამბაქოს წევა მაღაზიებში, კინოთეატრებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში... ახლა ამას დაემატა შესაბამისი „ტაბუ“ ყველა საშედეგინო და სასწავლო დაწესებულებაში, ბევრ რესტორანში და, ასე განსაკუთ (თუმცა არცთუ ისე კატეგორიული ფორმით), მთელი საკურორტო ქალაქების ქუჩებში, მაგალითად, სოჭში, იალტაში.

თამბაქოს წევის წინააღმდეგ

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

თავს ნუ იღუპავთ

თამბაქოს წევასთან ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი პროგლემაა

ნიკოტინის ბოროტად გამოყენების ნიადაგზე უფრო ხშირი დაავადებების პოტენციური შესაძლებლობა. ანდა ყბადაღებული „შესვენებები გასაბოლებლად“ წარმოებაში, რაზეც საერთო ანგარიშით უამრავი დრო მდის. და ეს ხდება იმ პირობებში, როცა ქვეყანაში მიმდინარეობს ბრძოლა თითოეული სამუშაო საათის რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენებისათვის...

უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში — განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს—გააქტიურდა პროპაგანდა თამბაქოს წევის წინააღმდეგ. პერიოდული პრესის ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით სისტემატურად გამოდიან მეცნიერები და ექიმები, მილიონობით ტირაჟით გამოიცემა ბროშურები, პლაკატები, სპეციალური ფილმები. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის რეკლამა და, პირიქით, ხელს უწყობენ „ანტირეკლამას“: მაგალითად, ყველაზე პოპულარული სიგარეტის „იავას“ კოლოფებზე ახლა წარწერილია: „თამბაქოს წევა საშიშია თქვენი ჯანმრთელობისათვის.“

და მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი საბაჭრო ქსელი ყოველწლიურად იღებს 400 მილიარდზე მეტ სიგარეტს, პაპიროსს, სიგარას.

ისედაც, თვით თამბაქოს წევასთან ბრძოლაში ჩვენთან ჯერ კიდევ მეტისმეტად ბევრი რამ არის მოუწესრიგებელი. თუნდაც ის, რომ სიგარეტის ყიდვა შეიძლება ბევრ გზეთის კიოსკში, თუმცა, თითქოს, იგი მხოლოდ და მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზიებში უნდა იყიდებოდეს, ვთქვათ, ასეთი აბრით: „იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ ეწევა თამბაქოს“. ჩვენში ბევრს წერენ აგრეთვე ჩვენი კინოს და ტელევიზიის გმირთა „მრავალმნიშვნელოვანი“ სიგარეტით მეტისმეტ გატაცებაზე... წერენ იმაზეც, რომ სამედიცინო დაწესებულებებსა და სკოლებში თამბაქოს წევის აკრძალვა ხშირად ფორმალური ხასიათისაა იმიტომ, რომ თვით ექიმები და მასწავლებლები ეწევიან...

ერთი სიტყვით, პრობლემები საკმაოდ გვაქვს. და, რა თქმა უნდა, კალმის ერთი მოსმით, ისევე როგორც მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული აკრძალვებით, ისინი ვერ დადწყდება. ეფექრობთ, რომ საჭიროა მთელი საზოგადოების მასშტაბით თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა.

ვიღიარებ, რომ ჩემ მიერ ზემოთ თქმული ცოტა არ იყოს პირფერულია... მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩემზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა პლაკატმა სოჭის ერთ-ერთ მაღაზიაში, სადაც ჯანმრთელობისათვის თამბაქოს წევის საშიშროებასთან ერთად კიდევ დამატებული იყო, რომ საშუალოდ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მწეველი ამ „სიამოვნებაზე“ ხარჯავს 5 ათას მანეთზე მეტს. ბოლოს კი დასმულია რიტორიკული კითხვა: ხომ არ ჯობს ეს თანხა უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ?

Ა. ᲠᲝᲖᲐᲜᲝᲕᲘ,
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. **ი. ბ. გამრეკელი** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. **თ. ი. უჩანეიშვილი** საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. **ს. პ. ჯინჯიხაძე** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და გათავისუფლა იგი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის „სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან;

ამხ. **ა. გ. კოზმანიშვილი** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. **თ. გ. ჯაფარიძე** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო;

ამხ. **კ. ი. საბაშვილი** საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან პენსიაში გასვლის გამო.

□ 18 დეკემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის ბიოლოგია (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია, 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოელები“ (ფერადი), 18.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (ფერადი), 19.00 — „წელი მესამე — წელი დამკვრელური“ (მოსკოვიდან), 19.45 — „ვეტერანიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.15 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „აღიარება“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კამერული მუსიკის კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. ქართული მხატვრული ფილმი „ეს სინემაა“.

□ 19 დეკემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მე-60 პარალელს იქით“, 10.10 — მეექვსეკლასელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.05 — შვვიისწავლოთ ინგლისური ენა, 18.35 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბაყაყი და ედელვეისი“, 19.15 — „ნოვოროსიისკის ლეგენდარული მიწა“ (მოსკოვიდან), 19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — „პარტიული ცხოვრება“ — „სიტყვას ითხოვს კომუნისტი“, 20.10 — „მეპატიჟებით საკონცერტო დარბაზში“ — მღერის გ. მინასიანი (ფერადი), 20.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „იაპონური ჩანახატები“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა.

□ 20 დეკემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შვვიისწავლოთ გერმანული ენა, 18.05 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გოვიტა“, 19.00 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი“, 19.20 — დოკუმენტური ფილმი „დრო და ქალაქი“ (ქართულ ენაზე), 19.40 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 20.10 — „ვერნისაჟი“ (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი ქართველ მუსიკოს-შემსრულებელ ლ თ ა მონაწილეობით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა“, 23.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრ უ ლ ი ფილმი — „დედა როზი“, 23.30 — ფილმი-კონცერტი „დიდი ბალეტის სოლისტები“ მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნ. ტიმოფეევა და მ. ლავროვსკი. პრემიერა (მოსკოვიდან).

□ 21 დეკემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — უმეროსკლასელთათვის — „ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას“, 18.05 — დოკუმენტური ფილმი „დიდი მზის მხარეში“, „ქართულ ენაზე. (ფერადი), 18.40 — „საერთაშორისო დღიური“, 18.55 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.05 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მოსკოვიდან), 19.35 — ო. თაქთაქიშვილის საგიოლინო კონცერტი. ლ. ისაკაძის შესრულებით (ფერადი), 20.10 — კინონარკვევი, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მაოიზმი — ჩინეთის ტრაგედია“ — პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ნიაღვრები“.

□ 22 დეკემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკო კეცხოველი“, 17.55 — შვვისწავლოთ ფრანგული ენა, 18.25 — „ყურადღება, საწარმოში ახალბედა!“, 19.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.15 — „ენერგეტიკოსის დღე“ — სტუდიაში საბჭოთა კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი პ. ს. ნეპოროჟნი (მოსკოვიდან), 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ანთე შენი მზე“, 19.50 — „თქვენი თხოვნით“ — ენერგეტიკოსის დღისადმი მიძღვნილი საესტრადო კონცერტი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.55 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „რას იტყვის ხალხი“ — პირველი მოქმედება (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „რას იტყვის ხალხი“ — მეორე მოქმედება (ფერადი).

□ 23 დეკემბერი

09.40 — კინონარკვევი, 09.50 — დოკუმენტური ფილმი „დიალოგი გრძელდება“, 10.30 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მოსკოვიდან), 11.00 — შვვისწავლოთ ქართული ენა, 11.30 — დოკუმენტური ფილმი „პროტესტანოვი“, 12.25 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 12.55 — „დრო და პრობლემები“ (განმეორებით), 13.25 — „სპორტლოტოს ტირაჟი“ (მოსკოვიდან), 13.40 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 14.25 — „ბუნების კარი“ (ფერადი), 15.10 — კინოჟურნალი, 15.20 — „კომუნისტები“ — რეპორტაჟი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდ ა ნ, 15.50 — „თბილისი და თბილისელები“, 16.20 — კინონარკვევი, 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეიმრნებისათვის, 17.15 — ქართული ხალხური მუსიკის კ ო ნ ც ე რ ტ ი, 17.45 — „ქართული თეატრის წარსულიდან“, 18.20 — კინოჟურნალი, 18.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.00 — „კინომოზაიკა“, 19.45 — „მთელი გულით“ (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მუსიკის კვირეული მოსკოვში.

□ 24 დეკემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი, 09.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.00 — ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის კონცერტი (მოსკოვიდან), 10.30 — „ბაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — შვვისწავლოთ რუსული ენა (ფერადი), 11.30 — „ცეკრდენას ეკრანი“ (ფერადი), 11.50 — კინოჟურნალი, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მაშას და ვიტიას საახალწლო თავგადასავლები“ (მოსკოვიდან), 13.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 14.00 — „კინოაფიშა“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 15.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.20 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 16.05— „კინოს მოყვარულთათვის“, 17.20 — მოსწავლეთათვის — „კოცონი“, 18.00 — „ახალგაზრდობა, დრო, პრობლემები“ — „სტუდენტური შეხვედრები“, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 19.45 —„კინომოზაურთა კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სალარზე ლოტოსები ხარობენ“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არჩილ კერესელიძე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გარდასახვის ხელოვნება“. საუბარი რჩევლი ანდრონიკოვთან. პრემიერა (მოსკოვიდან).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

17 დეკემბერი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 19.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხის ხელოსნები“ (ფერადი), 10.00 — შვვისწავლოთ რუსული ენა, 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 11.30 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 11.50 — კინონარკვევი, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“. სატელევიზიო მულტიპლიკაციური ფილმი „დრაკონი შიუშიუ“ (უნგრეთი) პრემიერა (მოსკოვიდან), 13.30 — ბავშვებისათვის — კონცერტი, 13.55 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხანში შესული მასწავლებელი“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 15.00 — „ხუთწლედი — წელი მესამე“, 15.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თუშეთის ფერები“ (ფერადი), 16.00 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მოსკოვიდან), 17.00 — „კინოაფიშა“, 17.30 — „ჯანმრთელობა“. სატელევიზიო პროგრამა, 18.00 — კინოსმოყვარულთათვის, 19.15 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 20.00 — საესტრადო კონცერტი (მოსკოვიდან), 20.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძველი ნავი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოს სამყაროში“.

მეორე პროგრამით

17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „უუნუშა“ (ფერადი), 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.50 — მხატვრული ფილმი „წითელი ძახველი“ (ფერადი), 20.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვის ფერები“, 21.20 — კონცერტი.

ᲠᲐᲓᲘᲝ

18 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.22 — „მეოდიიდან მეოდიამდე“, 11.10 — ს. ცინცაძე. კამერული ნაწარმოებები, 11.45 — „მათ გაიმარჯვეს შეჯიბრებაში“, 12.15 — მსუბუქი მუსიკა, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ა. წერეთლის ლექსები, 12.30 — ა. ბალანჩივაძე. საორკესტრო პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — „ეკრანის მეოდიები“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია ქართულ ენაზე, 13.40 — მოლდავური სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ლ. ავალიანი — „ახალი პორეზონტი“ (გაგრ ძ ე ლ ე ბ ა), 15.00 — „მეგობართა ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მისი შვილის ბავშვობა“, 18.10 — „მეოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტი), 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — დ. კლდიაშვილი. „ქამუშაძის გაჭირვება“. რადიოდადგმა (პრემიერა), 23.30 — ლ. გოცირიძის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

17 დეკემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დონ კიხოტი** (დღისით), **ტრუბადური** (საღამოს); რუსთაველის ს